

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ბიუროს რიგგარეშე სხდომის
ოქმი №22

ქ. ახმეტა

22 დეკემბერი, 2015 წელი

თავმჯდომარეობდა:

გელა ჯუგაშვილი-ახმეტის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

სხდომას ესწრებოდნენ:
ახმეტის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს ბიუროს წევრები:

თ.წითელაური, გ. ქატესაშვილი,
თ. ყვინიშვილი, გ. უძილაური, გ. მაისურაძე,
რ. ბაღაკაშვილი, დ. მურთაზაშვილი,
მ.ალხანაშვილი, ა.შათირიშვილი, ა.ფიცხელაური
ზ.გარსევანიძე, მ.ხოლეგაშვილი, ა.მეჭვერიშვილი
საკრებულოს აპარატის უფროსი - დ.შაშიაშვილი

სხდომას ესწრებოდა აგრეთვე:

სხდომა გაიხსნა 11⁰⁰სათზე.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ გელა ჯუგაშვილმა გახსნა სხდომა და დამსწრე პირებს
გაცნო დღის წესრიგი.

დღის წესრიგი:

1. „ახმეტის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის
მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №68 დადგენილებაში
ცვლილებების შეტანის თაობაზე;

მომხსენებელი - ვანო ნასყიდაშვილი/

2. ახმეტის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ;

მომხსენებელი - ვანო ნასყიდაშვილი/



3. ახმეტის მუნიციპალიტეტის კერძო სამართლის იურიდიული პირის ძირითადი საშუალებების გასხვისებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის, ქონების საწყისი საფასურის, ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემისას ქირის საფასურის და ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესის დამტკიცების შესახებ;

/მომხსენებელი - თინათინ შათირიშვილი/

4. „ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგეობის სამტალო წესებისა და თანამდებობრივი სარგებლის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის აკრებულოს 2014 წლის 5 აგვისტოს №35 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

/მომხსენებელი - თინათინ შათირიშვილი/

5. „ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის სამტალო წესების დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის I სექტემბრის №43 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

/მომხსენებელი - დავით შაშიაშვილი/

6. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „ახმეტის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და გარე განათების სამსახურის“ დაფუძნებაზე თანხმობის მიცემის შესახებ;

/მომხსენებელი - თინათინ შათირიშვილი/

7. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „კეთილმოწყობის სამსახურის“ - ლიკვიდაციაზე თანხმობის მიცემის შესახებ;

/მომხსენებელი - თინათინ შათირიშვილი/

8. „ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული უძრავი ქონების სარგებლობის ფორმით გასაცემი ობიექტების წესების და საიჯარო ქირის ოდენობის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 20 ოქტომბრის №76 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

/მომხსენებელი - ლუბუმი შეთევკაური/

9. ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ცენტრალური სტადიონისა და მასზე მდებარე შენობა - ნაგებობების პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით განკარგვის შესახებ

/მომხსენებელი - ლუბუმი შეთევკაური/



ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ პკითხა სხდომის დამსწრე წევრებს: ხომ არ ექნებათ რაიმე შენიშვნა, შეკითხვა ან დამატება დღის წესრიგთან დაკავშირებით?

ბიუროს წევრებს დღის წესრიგთან დაკავშირებით შენიშვნა, შეკითხვა ან დამატება არ გამოუთქვამთ.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგს რომელსაც მხარი სხდომაზე დამსწრე ყველა წევრმა დაუჭირა.

მოისმინეს: „ახმეტის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N168 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

/მომხსენებელი - ა.ბულრიძე/

მომხსენებელმა სხდომაზე დამსწრე პირებს გააცნო დადგენილების პროექტი.

ახმეტის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტში ცვლილების პროექტით გათვალისწინებულია ბიუჯეტით საშემოსავლოს ნაწილის კლება 114,0 ათ/ ლარით.

ა.მექვეერიშვილი დაინტერესდა, რატომ მცირდება გზებთან დაკავშირებული ხარჯები.

მომხსენებელმა უპასუხა, რომ: აუცილებლად იქნებოდა გარდამავალი ხარჯი, რომელიც 2016 წლის ბიუჯეტში აისახება და საჭიროებისამებრ ინება გამოყენებული.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა პროექტის მიღებას:

11 - მომხრე,

3 - თავი შეიკავა.

მოისმინეს: ახმეტის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ;

/მომხსენებელი - ა.ბულრიძე/

მომხსენებელმა სხდომაზე დამსწრე პირებს გააცნო დადგენილების პროექტი აღნიშნა, რომ მაქსიმალურად იქნა გათვალისწინებული საკრებულოს მხრიდან წამოსული შენიშვნები.

ახმეტის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის შემოსულობების ნაწილი შეადგენს 7365,1 ათას ლარს. გადასახადების ოდენობა შეადგენს 1290,0 ათას ლარს. ინფრასტრუქტურის მშენებლობის, რეაბილიტაციის და ექსპლოატაციის ხარჯებისათვის გათვალისწინებულია 1040,0 ათასი ლარი. მათ შორის:

გზების და ხიდების მშენებლობის, რეკონსტრუქციის და მოვლა შენახვის ხარჯების ოდენობა შეადგენს 150,0 ათასი ლარი

ბინათმშენებლობის ხარჯებისთვის გათვალისწინებულია 40,0 ათასი ლარი .

წყლის სისტემის რეაბილიტაციის ხარჯების ოდენობა შეადგენს 260,0 ათასი



სარჩევი არხებისა და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაციისათვის ხარჯების ოდენობა შეადგენს 20,0 ათას ლარს.

გარე განათების რეაბილიტაციისა და ექსპლოატაციის ხარჯების ოდენობა შეადგენს 245,0 ათას ლარს.

სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების დაფინანსებისათვის გათვალისწინებულია 764,3 ათასი ლარი, გაიზარდა - 98 ათ.ლარით. თანხა დაემატა ა(ა)იპ-ებს. თანხები გამოიყო საგანმანათლებლო, სპორტული და კულტურული ღონისძიებებისათვის, გაიზარდა საკრებულოს წარმომადგენლობითი ხარჯები და სხვა.

ამუცვერიშვილი: მრავალჯერ დავაჯნე წინადადება, დაგვეფინანსებინა სტუდენტები, რომლებმაც დაფინანსება ვერ მიიღეს. ასეთი, მუნიციპალიტეტის მასშტაბით სულ - 47 გვყავს. აქედან 23-24 სტუდენტი შესაძლოა სახელმწიფოსგან დაფინანსდეს, დანარჩენები ჰაერში რჩებიან. შეგვებლო ეს პრობლემა მოგვეგვარებინა.

პროექტის ირგვლივ სხვა შეკითხვა და შენიშვნა არ ყოფილა.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა პროექტის მიღებას. 11 - მომხრე.

3 - თავი შეიკავა.

მოისმინეს: ახმეტის მუნიციპალიტეტის კერძო სამართლის იურიდიული პირის ძირითადი საშუალებების გასხვისებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის, ქონების საწყისი საფასურის, ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემისას ქირის საფასურის და ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესის დამტკიცების შესახებ;

/მომხსენებელი - თინათინ შათირიშვილი/

მომხსენებელმა სხდომაზე დამსწრე პირებს გააცნო დადგენილების პროექტი: თვითმმართველობის კოდექსს დაემატა 106 მუხლი, რომელმაც დაგვაავალდებულა ამ წესის დამტკიცების შესახებ"- ა(ა)იპ-ების და შპს-ებისათვის.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა პროექტის მიღებას. 12 - მომხრე.

2 - თავი შეიკავა.

მოისმინეს: „ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 1 სექტემბრის №43 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი - დავით შაშიაშვილი/

მომხსენებელმა სხდომაზე დამსწრე პირებს გააცნო დადგენილების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შეკითხვები და შენიშვნები არ ყოფილა.



ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა პროექტის მიღებას, რასაც მხარი სხდომის დამსწრე ყველა წევრმა დაუჭირა.

მოისმინეს: არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „ახმეტის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და გარე განათების სამსახურის“ დაფუძნებაზე თანხმობის მიცემის შესახებ;

/მომხსენებელი - თინათინ შათირიშვილი/

მომხსენებელმა სხდომაზე დამსწრე პირებს გააცნო განკარგულების პროექტი: უქმდება კეთილმოწყობის და გარე განათების შპს-ები და იქმნება ახალი ა(ა)იპ.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა პროექტის მიღებას, რასაც მხარი სხდომის დამსწრე ყველა წევრმა დაუჭირა.

მოისმინეს: შუზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „კეთილმოწყობის სამსახურის“ - ლიკვიდაციაზე თანხმობის მიცემის შესახებ;

/მომხსენებელი - თინათინ შათირიშვილი/

მომხსენებელმა სხდომაზე დამსწრე პირებს გააცნო განკარგულების პროექტი: წინა მიღებული გადაწყვეტილებიდან გამომდინარე, აუცილებლობა ითხოვს შპს „კეთილმოწყობის სამსახურის“ ლიკვიდაციას.

პროექტის ირგვლივ შეკითხვები და შენიშვნები არ ყოფილა.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა პროექტის მიღებას, რასაც ერთხმად დაუჭირეს მხარი.

მოისმინეს: „ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული უძრავი ქონების სარგებლობის ფორმით გასაღები ობიექტების ნუსხის და საიჯარო ქირის ოდენობის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 20 ოქტომბრის №76 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

/მომხსენებელი - გვიტესაშვილი/

მომხსენებელმა სხდომაზე დამსწრე პირებს გააცნო განკარგულების პროექტი: 20 ოქტომბრის საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე მიღებულ №76 განკარგულებაში გაიპარა ტექნიკური ხასიათის შეცდომა - საკადასტრო კოდში, ახლა ვახდენთ მის ჩასწორებას.

პროექტის ირგვლივ შეკითხვები და შენიშვნები არ ყოფილა.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა პროექტის მიღებას, რასაც მხარი სხდომის დამსწრე ყველა წევრმა დაუჭირა.



მომხსენებელმა ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ცენტრალური სტადიონისა და მასზე მდებარე შენობა-ნაგებობების პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუტობის ფორმით განკარგვის შესახებ

/მომხსენებელი თ.კუდიანაშვილი/

მომხსენებელმა სხდომაზე დამსწრე პირებს გააცნო განკარგულების პროექტი: სტადიონი და მასზე მდებარე შენობა-ნაგებობები გადაეცემა საფეხბურთო სკოლას.

პროექტის ირგვლივ შეკითხვები და შენიშვნები არ ყოფილა.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა პროექტის მიღებას, რასაც ერთხმად დაუჭირეს მხარი.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დამსწრე საკრებულოს წევრებს ხომ არ სურთ რაიმე წინადადების დაყენება

ბიუროს სხდომაზე დამსწრე საკრებულოს წევრებს რაიმე წინადადების დაყენების სურვილი არ გამოუთქვამთ.

ბიუროს სხდომა დაიხურა 13⁴⁵ საათზე.

საკრებულოს თავმჯდომარე:



ბელა ჯუგაშვილი